ქ. მარნეულში ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა გზებისა და ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვა.

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. მარნეული **13.02.2013 წელი**

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ვანო ბურნაძე - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარე;

მალხაზ სამაშვილი -მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

დავით ხარშილაძე -ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

ვუგარ მამედოვი -საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

ნინო დეკანოიძე – იურიდიული სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი

დღის წესრიგი:

ქ. მარნეულში ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა გზებისა და ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების საკონკურსო განცხადება განთავსდა 01-02-2013 წელს 15:56 საათზე, საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო ვადად მითითებული იყო

07 .02.2013 წ. 13:00 სთ.

აღნიშნული დროისათვის საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ხუთმა კონკურსანტმა: შ.პ.ს. ,,ჰიდრა" – 7 200 ლარი, შ.პ.ს. ,,საქართველოს ტექნიკური ჯგუფი" – 6900 ლარი, შ.პ.ს. ,,პროჯექტ კომპანი" – 5 950 ლარი, შ.პ.ს. ,,ჯეო როუდ" – 5 740 ლარი და შ.პ.ს. ,,უტა" – 4 235 ლარი დ.ღ.გ–ს გარეშე.

საკონკურსო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი კონკურსანტების საკონკურსო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ კონკურსში უმცირესი ფასი წარმოადგინა შ.პ.ს. ,,უტა"–მ და აქედან გამომდინარე კომისია სრული შემდგენლობით თვლის, რომ უპირატესობა მიენიჭოს ამ უმცირესი ფასის მქონე კონკურსანტს.

<u>კომისიამ იხელმძღვანელა, რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით", დაადგინა.</u>

1. დაევალოს საკონკურსო აპარატის წევრს ზანდა კვანჭიანს გაუგზავნოს შეტყობინება გამარჯვებულ კონკურსანტს და მოიწვიოს ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კომისიის თავმჯდომარე ვანო ბურნაძე

კომისიის წევრები დავით ხარშილაძე

მალხაზ სამაშვილი

ვუგარ მამედოვი

ნინო დეკანოიძე